საქართველოში რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა და კვარტალური ანგარიში

(იანვარი-მარტი, 2012-2013 წწ.)

საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო წარმოადგენს სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიან ანგარიშს 2013 წლის მარტის მდგომარეობით, რომელიც ჯამურად აერთიანებს ყველა საგამოძიებო უწყების მონაცემებს. დანაშაულის სტატისტიკა, ძირითადი და დამატებითი პრიორიტეტული პარამეტრების საფუძველზე, მოცემულია დანაშაულთა კლასიფიკაციის სტანდარტული სქემის შესაბამისად და მათ შორის ცალკე აღრიცხულია ყველაზე მეტად გავრცელებული და საზოგადოებრივად რელევანტური დანაშაულობები. შევნიშნავთ, რომ მოცემული ანგარიშგება ფარავს სისხლის სამართლის პროცესის დიდ ნაწილს, დანაშაულის ჩადენის მომენტიდან პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემამდე, კვალიფიკაციის შეცვლის, საქმეთა გაერთიანება-გამოყოფის, წარმოებით შეწყვეტის და ა.შ. ჩათვლით, გარდა სასამართლო განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის, მსჯავრდებულის გათავისუფლების და საზოგადოებაში რეინტეგრაციის კომპონენტებისა. წინამდებარე ანგარიშისათვის სააღრიცხვო ერთეულს წარმოადგენს რაოდენობრივი და ტიპოლოგიური მაჩვენებლები "რეგისტრირებული დანაშაულის ფაქტის" შესახებ, აგრეთვე, მასთან გარკვეულ კომბინაციაში - "დანაშაულის ჩამდენი პირი".

რაც შეეხება კრიმინოგენური ვითარების საერთო შეფასებას (რასთანაც პირდაპირ კავშირშია, როგორც მთელი რიგი კრიმინოლოგიური დამახასიათებელი ნიშნებისა (სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ურთიერთზემოქმედება, სეზონური რხევა, ბუნებრივი პირობები და ხდომილებები...), ასევე ზოგადი სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობა (მაგ: კონკრეტული პერიოდის მოცემულობიდან გამომდინარე, სამოხელეო დანაშაულის მაჩვენებლის უპრეცედენტოდ მაღალი ზრდა (მაგ: სსკ მუხლი 332-ე, +14900%; სსკ მუხლი 333-ე, +5550%; სსკ მუხლი 342-ე, +3200% და ა.შ.) და სხვა მრავალი ცალკეული არაორდინალური მდგენელი (მასშტაბური ამნისტია, სამართალდამცავ უწყებათა პირადი შემადგენლობის გარკვეული როტაცია და ა.შ.), მიუხედავად ჯამური მაჩვენებლების გარკვეული მატებისა, საზოგადოებრივი უშიშროებისა და უსაფრთხოების მაღალი დონე მთლიანობაში შენარჩუნებულია, ხოლო კრიმინალური სიტუაცია დაახლოებით თანაზომადია ამ კუთხით 2009-2010 წლებში არსებულისა და ხარისხობრივად აღემატება ადრეული წლების მდგომარეობას. ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ მოსალოდნელი რისკ-ფაქტორების შეფასებისა და პერსპექტიული პროგნოზირების შესაბამისად დაგეგმილი და ოპერატიულად გატარებული პრევენტულ-პროფილაქტიკური ღონისძიებების შედეგად,

ამნისტიით გამოწვეული უარყოფითი დინამიკა პრაქტიკულად ნიველირებულია და აღნიშნული ფაქტორის საერთო კრიმინალურ სიტუაციაზე ნეგატიური ზეგავლენის ხარისხი დღევანდელი მდგომარეობით მინიმუმამდეა დაყვანილი. ამასთან, წინსწრებით შევნიშნავთ და ქვემოთ დეტალურად განვმარტავთ მიზეზთა იმ ერთობლიობას, რომელთა გამოც, კატეგორიულად მიზანშეუწონელია კრიმინალური სიტუაციის გაუარესება-გაუმჯობესების დინამიკის პირდაპირი შეფასება მხოლოდ სხვადასხვა მეთოდოლოგიით გაანგარიშებული რაოდენობრივი მონაცემების ურთიერთშედარების საფუძველზე.

უშუალოდ 2013 წლის მარტის თვისა და იანვარ-მარტის ინტერვალის კუმულატიურ მაჩვენებლებთან მიმართებაში კი, ახალი მეთოდოლოგიით დათვლილი საერთო მონაცემები შესაბამისად 24,7 და 16,6 პროცენტითაა მომატებული. ამასთან აღსანიშნავია, რომ წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით გაზრდილია დანაშაულის გახსნის მაჩვენებლებიც, მარტისათვის 21,9-დან 25,5%-მდე, ხოლო იანვარ-მარტის პერიოდისათვის კი - 28,8-დან 32,7 პროცენტამდე.

პერიოდი	2012 წელი			2013 წელი			+ მატება -კლება
	სულ რეგისტრირებული	გახსნა	გახსნის%	სულ რეგისტრირებული	გახსნა	გახსნის%	
იანვარი	3266	733	22,44%	3927	972	24,75%	*+661* *+20,24%*
თებერვალი	3300	710	21,52%	3818	826	21,63%	*+518* *+15,7%*
იანვარი-თებერვალი	**6530**	**1712**	**26,22%**	**7610**	**2169**	**28,5%**	***+1080*** ***+16,54%***
მარტი	3525	773	21,9%	4396	1124	25,5%	*+871* *+24,7%*
იანვარი-მარტი	**10033**	**2890**	**28,8%**	**11708**	**3837**	**32,7%**	***+1675*** ***+16,6%***

შენიშვნა: 1. მონაცემები დათვლილია ახალი მეთოდოლოგიის მიხედვით, 2013 წლის 8 აპრილის მდგომარეობით;

2. მონაცემები მოიცავს მთელს საქართველოს - შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურისა და სხვა სახელმწიფო უწყებების საგამოძიებო სრუქტურათა მაჩვენებლების ჩათვლით.

გარდა ამისა, არა მხოლოდ იანვარ-მარტის თვეების გარკვეული სპეციფიურობიდან და ზამთრის პერიოდისათვის დამახასიათებელი რიგი თავისებურებებიდან გამომდინარე, დასახელებულ ინტერვალში კრიმინალური ელემენტების გააქტიურების ტენდენცია შეინიშნება ბოლო ორი წლის განმავლობაშიც. შედარებისათვის, 2012 წლის იანვარი 2011 წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან მიმართებაში დანაშაულის საერთო რაოდენობის 10,6%, თებერვალში 19,5%, მარტში 4,7%, ხოლო იანვარ-მარტში კი 20,2%-იანი მატება დაფიქსირდა.

პერიოდი	2011 წელი			2012 წელი			+ მატება -კლება
	სულ რეგისტრირებული	გახსნა	გახსნის%	სულ რეგისტრირებული	გახსნა	გახსნის%	
იანვარი	2954	954	32,3%	3266	733	22,4%	*+312 +10,6%*
თებერვალი	2762	985	35,7%	3300	710	21,5%	*+538 +19,5%*
იანვარი-თებერვალი	**5433**	**2079**	**38,3%**	**6530**	**1712**	**26,2%**	***+1097 +20,2%***
მარტი	3368	1133	33,6%	3525	773	21,9%	*+157 +4,7%*
იანვარი-მარტი	**8344**	**3421**	**41,0%**	**10033**	**2890**	**28,8%**	***+1689 +20,2%***

აქვე შევნიშნავთ, რომ წინა წლებისაგან განსხვავებით, ქვემოთ მოცემულ ერთიან სტატისტიკურ ანგარიშში შესული ინფორმაცია კომპილირებული და სისტემატიზირებულია თვისობრივად გადამუშავებული მეთოდოლოგიური საფუძვლების გამოყენებით, ამავდროულად, ერთიანი სააღრიცხვო სტატისტიკური მოდულისა და სისხლის სამართალწარმოების ელექტრონული სისტემების მეშვეობით მინიმუმამდეა დაყვანილი ლატენტურობის ხარისხი, რაც თავის მხრივ, ინფორმაციის მაქსიმალური სისრულიდან და სიზუსტიდან გამომდინარე, ზრდის რეგისტრირებული დანაშაულის საერთო რაოდენობას.

მეტი თვალსაჩინოობისათვის, ხსენებულ კონტექსტში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ტიპიური შემთხვევა, კერძოდ:

ა) წარმოებით შეწყვეტილი სისხლის სამართლის საქმეები, მიუხედავად შეწყვეტის საფუძვლისა, ადრინდელი ტიპის სტატისტიკურ რაპორტში არ აისახებოდა.

ბ) საქმის გახსნილად გამოცხადების ერთადერთ საფუძველს ბრალის წარდგენის შესახებ დადგენილება წარმოადგენდა. თუმცაღა, იმ დროისათვის მოქმედ სააღრიცხვო სისტემას არ გააჩნდა ბრალის კომპონენტის გარეშე საქმის გახსნილად ჩათვლის მექანიზმი, ამიტომ, რათა არ მომხდარიყო გაუხსნელი საქმეების რიცხვის გაუმართლებელი გაზრდა, ასეთი დანაშაულობები ერთიანი კონსოლიდირებული რაპორტის ფორმაში საერთოდ არ გაითვალისწინებოდა.

დღევანდელი მდგომარეობით, ელექტრონულ სააღრიცხვო სისტემაზე გადასვლამ აღნიშნული მეთოდოლოგიური ხარვეზის გამოსწორების საშუალება მოგვცა. შესაბამისად, ნებისმიერი ისეთი საფუძვლით შეწყვეტილი სისხლის სამართლის საქმე, რომელიც დანაშაულს არ გამორიცხავს (პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება, განრიდება, მედიაცია, ქმედითი მონანიება, ბრალის არარსებობა...), მიმდინარე კონსოლიდირებული სტატისტიკური ანგარიშისათვის უკვე წარმოადგენს სააღრიცხვო ობიექტს. ასეთმა მიდგომამ, ერთის მხრივ ცხადია გამოიწვია საანგარიშო ფორმებში ასახული დანაშაულის რაოდენობრივი მაჩვენებლების მატება, თუმცა, მეორეს მხრივ უზრუნველყო აღრიცხვიანობის სისრულე და სიზუსტე და მაქსიმალურად დაუახლოვა რეალობას.

მაგალითისათვის, მხოლოდ შეწყვეტილი, ანუ საერთო რაოდენობაში იმ კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეთა ხვედრითი წილი, რომელიც ადრინდელ ანგარიშში არ ხვდებოდა, ხოლო მიმდინარე წლის კონსოლიდირებულ რაპორტში უკვე აღირიცხება, საშუალოდ, რეგისტრირებული მონაცემის 5-6%-ს წარმოადგენს (იანვარი-თებერვალის თვეებში - 276 ფაქტი 7610-დან; იანვარი-მარტის თვეებში - 641 ფაქტი 11708-დან) და შესაბამისად, ამ თანაფარდობით ზრდის კიდეც დანაშაულის რიცხვს.

საერთო რაოდენობრივ მაჩვენებლებზე აღნიშნულის ფაქტორის ზეგავლენის თვალსაჩინო ილუსტრაციას იძლევა ქვემოთ მოყვანილი ცხრილი, საიდანაც 2013 წლის იანვარი-თებერვლის თვეებში ნათლად სჩანს რეგისტრირებული დანაშაულის მხოლოდ 12,3%-იანი, ხოლო იანვარი-მარტის ინტერვალში კი - 10,3%-იანი მატება წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით:

პერიოდი	2012 წელი	2013 წელი	+ მატება -კლება
	სულ რეგისტრირებული	სულ რეგისტრირებული	
იანვარი *(101 ფაქტი)*	3266	3826	*+560* *+17,1%*
თებერვალი *(81 ფაქტი)*	3300	3737	*+437* *+ 13,2%*
იანვარი-თებერვალი *(276 ფაქტი)*	**6530**	**7334**	***+804*** ***+12,3%***
მარტი *(203 ფაქტი)*	3525	4193	*+668* *+18,9%*
იანვარი-მარტი *(641 ფაქტი)*	**10033**	**11067**	***+1034*** ***+10,3%***

შენიშვნა: . მონაცემები დათვლილია ძველი მეთოდოლოგიის მიხედვით, 2013 წლის 8 აპრილის მდგომარეობით;

ამასთან, 2006-2012 წლების ინტერვალში, ძველი მეთოდოლოგიით გაანგარიშებული დანაშაულის საერთო რაოდენობის იანვარ-მარტის პერიოდის 2013 წელთან მიმართება შემდეგნაირია:

პერიოდი	**იანვარი**		**თებერვალი**		**იანვარი-თებერვალი**		**მარტი**		**იანვარი-მარტი**	
	სულ	+ მატება -კლება	სულ	+ მატება -კლება	სულ	+ მატება -კლება	სულ	+ მატება -კლება	სულ	+ მატება -კლება
2006	4481	*-655* *-14,6%*	6315	*-2578* *-40,8%*	10756	*-3422* *-31,8%*	5660	*-1467* *-26,0%*	16120	*-5053* *-31,3%*
2013	**3826**		**3737**		**7334**		**4193**		**11067**	
2007	5181	*-1355* *-26,1%*	5373	*-1636* *-30,4%*	10254	*-2920* *-28,4%*	6149	*-1956* *-31,8%*	15810	*-4743* *-30,0%*
2013	**3826**		**3737**		**7334**		**4193**		**11067**	
2008	3916	*-90* *-2,3%*	4634	*-897* *-19,3%*	7999	*-665* *-8,3%*	5001	*-808* *-16,1%*	12116	*-1049* *-8,6%*
2013	**3826**		**3737**		**7334**		**4193**		**11067**	
2009	3809	*+17* *+0,4%*	4067	*-330* *-8,1%*	7529	*-195* *-2,6%*	4099	*+94* *+2,3%*	11044	*+23* *+0,2%*
2013	**3826**		**3737**		**7334**		**4193**		**11067**	
2010	3096	*+730* *+23,6%*	3304	*+433* *+13,1%*	6086	*+1248* *+20,5%*	3621	*+572* *+15,8%*	9211	*+1856* *+20,1%*
2013	**3826**		**3737**		**7334**		**4193**		**11067**	
2011	2954	*+872* *+29,5%*	2762	*+975* *+35,3%*	5433	*+1901* *+34,9%*	3368	*+825* *+24,5%*	8344	*+2723* *+32,6%*
2013	**3826**		**3737**		**7334**		**4193**		**11067**	
2012	3266	*+560* *+17,1%*	3300	*+437* *+13,2%*	6530	*+804* *+12,3%*	3525	*+668* *+18,9%*	10033	*+1034* *+10,3%*
2013	**3826**		**3737**		**7334**		**4193**		**11067**	

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განსაკუთრებით გასათვალისწინებელი და ყურადსაღებია, რომ სხვადასხვა მეთოდოლოგიით გაანგარიშებული ერთგვაროვანი საანგარიშო პერიოდების მონაცემთა პირდაპირი ურთიერთშედარება თეორიულად მიზანშეწონილი არ არის და გარკვეულ ფარგლებში ყოველთვის ამახინჯებს სურათს მატება-კლების დინამიკისა და ტენდენციების შესახებ.


20000
18000
16000
14000
12000
10000
8000
6000
4000
2000
0
2006
2007
2008
2009
2010
2011
2012
2013
იანვარი
თებერვალი
იანვარი-თებერვალი
მარტი
იანვარი-მარტი